საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1224-03
15/08/2025

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2025 წლის 25 აპრილის N793 -03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს N2462-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მაკა ლაშხიას 2025 წლის 14 აგვისტოს N13817-35 და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას 2025 წლის 29 ივლისის N13034-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1.შევიდეს ცვლილება “ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2025 წლის 25 აპრილის N793-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის დანართით განსაზღვრული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი